შპს ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური	ელექტროენერგიის წარმოება	10%	40,000	10%	40,000
შპს რუისის ქარის ელექტროსადგური	ელექტროენერგიის წარმოება	10%	40,000	0%	-
			835,491		797,600

*2018 წლის 31 ივლისს სს "ენერგეტიკის განვითარების ფონდმა" უსასყიდლოდ გადასცა შპს "სოლარ ფავერ ჯორჯიას" შპს "საქართველოს მზის კომპანიის" 90%-იანი წილი. ჯგუფი აღნიშნულ ოპერაციას არ განიხილავს შეწყვეტილ ოპერაციად, რადგან შპს "საქართველოს მზის კომპანიის" საქმიანობა მხოლოდ საწყისი კვლევის ეტაპზეა.

ფასს 9-ის მიხედვით ჯგუფი ვალდებულია ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგინოს სამართლიანი ღირებულებით. ყველა კომპანია, სადაც ჯგუფი ფლობს ინვესტიციას წილობრივ ინსტრუმენტებში არის კვლევის ეტაპზე და მათი რეალური ღირებულების შეფასება შეუძლებელია. შესაბამისად ხელმძღვანელობამ გამოიყენა ფასს 9-ის 85.2.3. პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის უფლება და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციის თვითღირებულება რეალური ღირებულების მართებულ და საუკეთესო შეფასებად მიიჩნია.

8. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ლითონის კონსტრუქციები	188,724	188,724
მიწები	67,142	66,727
სხვა მარაგები	8,000	8,000
	263,866	263,451

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე 1,110,669 ლარი და 1,492,621 ლარი შესაბამისად, როგორც საგადასახადო აქტივი.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები*	21,281,317*	1,233,736
	21,281,317	1,233,736
გადახდილი ავანსები	23,238	25,179
	23,238	25,179
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21,304,555	1,258,915

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისაგან.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობისა და ვალუტის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

* 2019 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავრობას და შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას შორის ხელი მოეწერა ნამახვან ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულება. 2019 წლის 25 აპრილს ასევე ხელი მოეწერა შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას მიერ სს ნამახვანის აქტივების შესყიდვის ხელშეკრულებას. აქტივების მიწოდების შემდეგ, სს ენერგეტიკის განვითარების ფონდი თავის შვილობილ კომპანია სს ნამახვანთან ერთად ვალდებულია დაეხმაროს ინვესტორს განახლებული მშენებლობის ნებართვის მიღებაში. რეალიზებული ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 21,185,760 ლარს (7,600,000 აშშ დოლარი), ხოლო რეალიზებული ძირითადი საშუალებების თვლირებულება შეადგენს 14,230,238 ლარს. ხელშეკრულების მიხედვით ნასყიდობის ღირებულების სრულად ჩარიცხვა ხდება შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას მიერ განახლებული მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 5 დღის ვადაში. აღნიშნული ნებართვის მიღება ხელმძღვანელობის თავდაპირველი გეგმის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო 2019 წელს. როგორც ეს აღწერილია 22-ე შენიშვნაში, ხელმძღვანელობის მშენებლობის ნებართვის მიღებას მოელის 2020 წლის ბოლომდე.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

11. სესხები

სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	31.12.2019	31.12.2018
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი სულ გრძელვადიანი სესხი	6 თვის ლიბორი + 4.5%	აშშ დოლარი	6-ოქტ-16	1-თებ-27	-	46,616,889
					-	46,616,889
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი სულ მოკლევადიანი სესხები	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	31.12.2019	31.12.2018
6 თვის ლიბორი + 4.5%	აშშ დოლარი	6-ოქტ-16	1-თებ-27	-	6,441,516	
					-	6,441,516
სულ სესხები					-	53,058,405
EBRD სესხის აღებისათვის გადახდილი თანხები					-	(1,206,261)
ნეტო სესხები					-	51,852,144

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების რეკონსილაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	51,852,144
დარიცხული პროცენტი	3,635,507
EBRD სესხის აღებისათვის გადახდილი თანხების ამორტიზაცია	150,782
სხვა ფინანსური ხარჯის დარიცხვა	400,431
სხვა ფინანსური ხარჯის გადახდა	(400,431)
სესხების დაფარვა	(5,150,005)
გადახდილი პროცენტი	(3,826,827)
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	3,629,938
შეწყვეტილი ოპერაციები	(50,291,539)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების რეკონსილაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	54,582,949
დარიცხული პროცენტი	3,569,935
EBRD სესხის აღებისათვის გადახდილი თანხების ამორტიზაცია	150,782
სესხების დაფარვა	(4,448,559)
გადახდილი პროცენტი	(3,374,022)
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	1,371,059
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	51,852,144

*ჯგუფს 2018 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდა შეზღუდული ფული 1,697,000 აშშ დოლარის ოდენობით. ფულის რეზერვის არსებობა გამომდინარეობდა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მოთხოვნებიდან.

დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

12. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ წარმოადგენს ვადიან დეპოზიტებს 90 დღეზე მეტი და 1 წელზე ნაკლები ვადით. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს აქვს 20,000,000 ლარის დეპოზიტი სს "პაშა ბანკი საქართველოში" რომლის დაფარვის ვადაც არის 2020 წლის 18 მაისი. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს აქვს 20,000,000 ლარის დეპოზიტი სს თიბისი ბანკში, რომლის დაფარვის ვადაც არის 2019 წლის 16 მაისი.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	30,118,753	20,760,595
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	6,310	3,501,888
	30,125,063	24,262,483

დამატებითი ინფორმაცია უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრების შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
შპს "პარკუს ჰიდრო"	1,353,893	-
შპს "ნირას"	96,285	-
შპს „ვესტას ბენელუქსი“	-	520,471
ააიპ საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ხელშეწყობის ფონდი	-	20,000
გადასახდელი ხელფასები	2,472	-
სხვა ვალდებულებები	36,282	59,912
	1,488,932	600,383

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ანალიზი ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

15. მოგება აქტივების გაყიდვიდან

მოგება აქტივების გაყიდვიდან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან*	6,955,522	-
ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შექმნა**	40,000	-
შემოსავალი მიღსადენების რეალიზაციიდან	-	590,155
მოგება წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციის გაყიდვიდან	-	80,937
სხვა	32,930	17,594
	7,028,452	688,686

*2019 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავრობას და შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას შორის ხელი მოეწერა ნამახვან ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებას. 2019 წლის 25 აპრილს ასევე ხელი მოეწერა შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას მიერ სს ნამახვანის აქტივების შესყიდვის ხელშეკრულებას. აქტივების მიწოდების შემდეგ, სს ენერგეტიკის განვითარების ფონდი თავის შვილობილ კომპანია სს ნამახვანთან ერთად ვალდებულია დაეხმაროს ინვესტორს განახლებული მშენებლობის ნებართვის მიღებაში. რეალიზებული ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 21,185,760 ლარს (7,600,000 აშშ დოლარი), ხოლო რეალიზებული ძირითადი საშუალებების თვლირებულება შეადგენს 14,230,238 ლარს. ხელშეკრულების მიხედვით გადახდა უნდა მოხდეს შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას (მიმდინარე დასახელებით შპს ენკა რინიუებლოზი) მიერ განახლებული მშენებლობის ნებართვების მიღებიდან 5 დღის შემდეგ. თავდაპირველად, ხელმძღვანელობის მოლოდინის მიხედვით ნებართვების მიღება უნდა მომხდარიყო 2019 წლის ბოლომდე. ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინის მიხედვით ახალი ნებართვა მიღებულ იქნება 2020 წლის ბოლომდე.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. მოგება აქტივების და ინვესტიციის გაყიდვიდან (გაგრძელება)

ნებართვები მიღებულ უნდა იქნას ქვემო ნამახვანის ჰესზე (333 მგვ) და ზემო ნამახვანის ჰესზე (100 მგვ). ქვემო ნამახვანის ჰესზე (333 მგვ) ნებართვები უკვე მიღებულია შპს ენკა რინიუებლზის მიერ. ზემო ნამახვანის ჰესის ნებართვების მიღებისთვის დარჩენილია სკრინინგის ფაზა, რაც გულისხმობს გამარტივებულ პროცედურებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განახლებული ნებართვების მიღების ალბათობა არის მაღალი და აღიარდება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან შემოსავალი.

**ჯგუფის მიერ შექმნილი წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევიდან შემოსავალი, რომლის შეტანაც მოხდა შპს რუისის ქარის ელექტროსადგურის კაპიტალში 10%-იანი წილის სანაცვლოდ.

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	(296,383)	-
პროფესიული მომსახურება	(265,792)	(113,953)
პროექტის სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ხარჯი	(209,000)	-
საიჯარო ქირა	(177,758)	(138,844)
მივლინების ხარჯები	(139,895)	(88,467)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(136,573)	(166,706)
საწევრო ხარჯები	(42,000)	(44,000)
საწვავი	(36,421)	(33,844)
რემონტისა და შეკეთების ხარჯები	(21,854)	(11,301)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(20,199)	(10,520)
კომუნიკაციის ხარჯები	(11,974)	(12,307)
საოფისე ხარჯები	(11,877)	(7,717)
კომუნალური ხარჯი	(8,817)	(5,885)
დაზღვევა	(5,422)	(8,278)
სხვა	(106,664)	(41,666)
	(1,490,629)	(683,488)

17. საპროცენტო შემოსავალი, წმინდა

საპროცენტო შემოსავალი, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
საპროცენტო ხარჯი		
თიბისი ბანკი	(5,329)	(4,599)
	(5,329)	(4,599)
საპროცენტო შემოსავალი		
თიბისი ბანკი	1,930,416	2,738,301
პაშა ბანკი	941,269	-
	2,871,685	2,738,301
საპროცენტო შემოსავალი, წმინდა	2,866,356	2,733,702

18. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა

მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(1,262)	(8,165)
ეფექტი სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე	528,287	(57,806)
	527,025	(65,971)

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

19. შეწყვეტილი ოპერაციები

ჯგუფმა 2019 წელს გაყიდა 50.1% წილი შპს ქართლის ქარის ელექტროსადგურში, რაც არის ერთადერთი ოპერაცია, რომელიც 2019 წელს წარდგენილია როგორც შეწყვეტილი ოპერაცია. შვილობილი კომპანია გაიყიდა 2019 წლის 30 დეკემბერს და მიმდინარე პერიოდში წარდგენილია, როგორც შეწყვეტილი ოპერაცია.

მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
მიღებული ფული	20,702,442
სულ მიღებული საზღაური	20,702,442
გასული ფული	(9,068,954)
გასული წმინდა აქტივები (გარდა ფულისა):	
ძირითადი საშუალებები	(56,244,674)
საგადასახადო აქტივი	(302,043)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(2,783,758)
შეზღუდული ფული	(5,469,458)
სესხები	50,291,539
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	573,471
არამაკონტროლებლის წილი	12,949,101
	(985,822)
მოგება შეწყვეტილი ოპერაციების გასვლიდან	10,647,666

შედეგი შეწყვეტილი ოპერაციებიდან

	2019	2018
შემოსავალი	16,462,898	14,744,278
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(6,571,647)	(6,396,971)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(778,676)	(942,895)
შრომის ანაზღაურება	(292,302)	(223,561)
საპროცენტო შემოსავალი	785,926	590,625
საპროცენტო ხარჯი	(4,186,720)	(3,720,717)
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	(3,256,244)	(1,381,215)
	2,163,235	2,669,544
შედეგი შეწყვეტილი ოპერაციებიდან, რომელიც განკუთვნილია:		
ჯგუფის აქციონერებისთვის	1,083,781	1,337,442
არამაკონტროლებელი წილისთვის	1,079,455	1,332,102
წმინდა მოგება შეწყვეტილი ოპერაციების გაყიდვიდან	10,647,666	-
სულ წმინდა მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	12,810,901	2,669,544

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

19. შეწყვეტილი ოპერაციები (გაგრძელება)

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ფულად ნაკადებს შეწყვეტილი ოპერაციებიდან

	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა	7,377,867	6,912,072
საინვესტიციო საქმიანობა	11,736,341	73,837
ფინანსური საქმიანობა	(9,122,852)	(4,232,407)
საკუროს სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	(176,589)	(128,608)
წმინდა ფულადი ნაკადი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	9,814,767	2,624,894

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ჯგუფს და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ხელმძღვანელობის შრომითი ანაზღაურება	435,624	314,854
შრომითი ანაზღაურება	435,624	314,854

21. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კორონა ვირუსით გამოწვეული ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. ზოგადად ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

*2019 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავრობას და შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას შორის ხელი მოეწერა ნამახვან ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებას. 2019 წლის 25 აპრილს ასევე ხელი მოეწერა შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას მიერ სს ნამახვანის აქტივების შესყიდვის ხელშეკრულებას. აქტივების მიწოდების შემდეგ, სს ენერგეტიკის განვითარების ფონდი თავის შვილობილ კომპანია სს ნამახვანთან ერთად ვალდებულია დაეხმაროს ინვესტორს განახლებული მშენებლობის ნებართვის მიღებაში. რეალიზებული ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 21,185,760 ლარს (7,600,000 აშშ დოლარი), ხოლო რეალიზებული ძირითადი საშუალებების თვლირებულება შეადგენს 14,230,238 ლარს. ხელშეკრულების მიხედვით გადახდა უნდა მოხდეს შპს ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას (მიმდინარე დასახელებით შპს ენკა რინიუებლზის) მიერ განახლებული მშენებლობის ნებართვების მიღებიდან 5 დღის შემდეგ. თავდაპირველად, ხელმძღვანელობის მოლოდინის მიხედვით ნებართვების მიღება უნდა მომხდარიყო 2019 წლის ბოლომდე. ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინის მიხედვით ახალი ნებართვა მიღებულ იქნება 2020 წლის ბოლომდე. ნებართვები მიღებულ უნდა იქნას ქვემო ნამახვანის ჰესზე (333 მგვ) და ზემო ნამახვანის ჰესზე (100 მგვ). ქვემო ნამახვანის ჰესზე (333 მგვ) ნებართვები უკვე მიღებულია შპს ენკა რინიუებლზის მიერ 2020 წლის 22 აპრილს (ჰესის მშენებლობის ნებართვა) და 2020 წლის 18 თებერვალს (გზის მშენებლობის ნებართვა). ზემო ნამახვანის ჰესის ნებართვების მიღებისთვის დარჩენილია სკრინინგის ფაზა, რაც გულისხმობს გამარტივებულ პროცედურებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განახლებული ნებართვების მიღების ალბათობა არის მაღალი.

23. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

23. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვალდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაიანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა (ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან“. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ყველა აქტივი დაკლასიფიცირებულია როგორც „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ფინანსური აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს სხვა მოთხოვნებს, ფულის და ფულის ეკვივალენტებს და მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში არსებულ თანხებს ან სამ თვემდე არსებულ დეპოზიტებს. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს ვადიან დეპოზიტებს 90 დღეზე მეტი და 1 წელზე ნაკლები ვადით.

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია ჯგუფის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ჯგუფმა გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის 85.50 და 85.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით.

ჯგუფმა არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფინანსურ აქტივებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ჯგუფი არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

23. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება შეიცვალა ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტებით. ახალი სტანდარტების მიხედვით ფინანსური ვალდებულებები შესაძლებელია დაკლასიფიცირდეს შემდეგ კატეგორიებად - „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“. ჯგუფი ირჩევს მისი ფინანსური ვალდებულებებისთვის შესაფერის ბიზნეს მოდელს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება ჯგუფს, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ენერგეტიკის სფეროში წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარება, ენერგეტიკული პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება და ანგარიშის მომზადება, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ჩატარებული კვლევების შედეგად იწერება ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი, რომელსაც ფონდი ახორციელებს შემდეგნაირად: მოიზიდავს ინვესტორს, რომელთან ერთადაც დააფუძნებს საწარმოს (ან 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დააფუძნებს თვითონ) და აღნიშნული საწარმო ახორციელებს ელექტროსადგურის პროექტს. საწყის კვლევაზე გაწეული ხარჯები აქტივად აღიარდება მას შემდეგ რაც მაღალია იქნება იმის ალბათობა, რომ საწარმო მიიღებს აქტივიდან მოსალოდნელ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა შემთხვევებში აღიარდება ხარჯად. მოგება ან ზარალი აღიარდება აღნიშნული აქტივების ან ინვესტიციის ინვესტორზე გაყიდვისას.

23. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ აქტივზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად ჯგუფი მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ მომსახურებაზე ანაწილებს.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

ჯგუფი ფასს 16-ს იყენებს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის დროს. ფასს 16-ის ეფექტს, სტანდარტის მოთხოვნებზე გადასვლის თარიღისთვის, არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

23. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით.

აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც ჯგუფი ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, ჯგუფმა ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

შეწყვეტილი ოპერაციები

წლის განმავლობაში გასული ოპერაციების გასვლის თარიღამდე მიღებული შედეგი შესულია სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

შეწყვეტილი ოპერაცია არის ჯგუფის კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს ან არის კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით შემენილი შვილობილი საწარმო, რომელიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული.

შეწყვეტილი ოპერაციები სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ჯამურად განცალკევებით და შედგება შეწყვეტილი ოპერაციიდან მიღებული წმინდა მოგების ან ზარალისგან, ასევე გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით შეფასებისას და აქტივების ან ჯგუფის გასვლისას მიღებული მოგების ან ზარალისგან, რომელიც წარმოადგენს შეწყვეტილ ოპერაციას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს: ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე; ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად; გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შემენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

23. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

აქტივის ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში ამორტიზირდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზაციის ხარჯს მოიცავს ადმინისტრაციული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება 5 წლიან ვადაზე. ყველა არამატერიალური აქტივი ამორტიზირდება წრფივი მეთოდით.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმოები არიან კომპანიები, რომლებზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი. მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგებაში, ან ზარალში. ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. ინვესტიციის საბალანსო ღირებულების კორექტირება შეიძლება აუცილებელი გახდეს აგრეთვე ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის კუთვნილი პროპორციული წილის ცვლილების გასათვალისწინებლად, რასაც იწვევს ინვესტირებული საწარმოს სხვა სრული შემოსავლის ცვლილება. ამგვარ ცვლილებებს იწვევს ძირითადი საშუალებების გადაფასება და უცხოურ ვალუტაში მუხლების გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი განსხვავებები. ინვესტორის წილი ამ ცვლილებებში აისახება ინვესტორის სხვა სრულ შემოსავალში.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის რეალური ღირებულების ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები. წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“. ფასს 9-ის მიხედვით ჯგუფი ვალდებულია ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგინოს სამართლიანი ღირებულებით. ვინაიდან რეალური ღირებულების შესაფასებლად საჭირო ახალი ინფორმაცია არ არის ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი, ხელმძღვანელობამ გამოიყენა ფასს 9-ის 5.2.3. პუნქტით გათვალისწინებული გამოწვევის უფლება და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თვითღირებულება რეალური ღირებულების მართებულ შეფასებად მიიჩნია.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

23. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა კონსოლიდირებული შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“, „ფსწე“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

აქტივის ან „ფსწე“-ს ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. აღიარებული გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში გამოყოფილია აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად თანაბარი პროპორციის საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

მიმდინარე საგადასახადო აქტივი და მოგების გადასახადის ხარჯი

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა ჯგუფს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

23. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

(ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალში განხორციელებული შენატანები აღირიცხება თვითღირებულებით. ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანების შემთხვევისა, აღიარდება წმინდა ღირებულებით, შესაბამისი მოგების გადასახადის გამოკლებით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი გადახდები წარმოადგენს დამატებით შენატანს კაპიტალში.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოღინებას (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) დისკონტირების ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასაარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

23. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა	35
2. ორგანიზაციული სტრუქტურა.....	35
3. ინფორმაცია ფონდის შვილობილებისა და მიმდინარე პროექტების შესახებ.....	36
4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა	41
5. განვითარების გეგმები.....	42
6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა	44
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	44

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. საქმიანობის მიმოხილვა

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“, (შემდგომში - „GEDF“ ან ფონდი), რომლის აქციების 100%-ის მფლობელია სახელმწიფო, დაარსდა 2010 წლის 13 დეკემბერს. 2010 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს. 2012 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის გადაწყვეტილებით სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შეერწყა სს „GGEDC“, რის შედეგადაც განხორციელდა ამ კომპანიის ლიკვიდაცია, ხოლო მისი უფლებამონაცვლე გახდა სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“.

2017 წელს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაერთიანების შედეგად სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ მართვა დაუბრუნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

ფონდის საქმიანობას წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვა ენერგეტიკის სფეროში, ელექტროენერგიის გადაცემა და ყიდვა-გაყიდვა. **ფონდის მისიაა** ხელი შეუწყოს ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის რეალიზაციას, შესაბამისი ფონდების მოძიებას, პროექტების განვითარებას მათი ეფექტიანი განხორციელების გზით. ფონდის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს განახლებადი ენერგიის წყაროების პერსპექტიული პროექტების მოძიება და განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე ფონდი ეწევა შემდეგ საქმიანობებს:

- წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარება;
- პროექტების წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება;
- პროექტის გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება;
- ინვესტიციების მოძიება და დაინტერესება არსებული პროექტებით;
- პროექტების განვითარება;

2. ორგანიზაციული სტრუქტურა

ფონდის მართვას ახორციელებს აქციონერი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით და დირექტორი, რომლის დაქვემდებარებაში არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექტორატი და მასში შემავალი სტრუქტურები.



ფონდის ფუნქციები მის სტრუქტურულ ერთეულებზე გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ტექნიკური მიმართულების ძირითად ამოცანას წარმოადგენს

- რაც შეიძლება მეტი კომერციულად მისაღები ენერგორესურსის გამოვლენა;
- რესურსის პოტენციალის გამოყენების ყველაზე ეფექტური ტექნიკური მიდგომის გამოვლენა და დამუშავება;
- ენერგოპროექტების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. ორგანიზაციული სტრუქტურა (გაგრძელება)

ფინანსური მიმართულების ამოცანაა:

- ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების ფინანსური ეფექტიანობის მიღწევა;
- რაც შეიძლება იაფი ფინანსური წყაროების მოზიდვა, პროექტებისთვის და მიმდინარე საქმიანობისთვის;
- გრძელვადიანი ურთიერთობების განვითარება ინვესტორებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან.
- ფონდის ფინანსური საქმიანობის, კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

იურიდიული და ადმინისტრაციული მიმართულების ძირითადი მიზანია ფონდის საქმიანობის მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულების ამოცანაა:

- პოტენციური იურიდიული რისკების დაზღვევა, დროული გამოვლენა და პრევენციული ზომების განხორციელება;
- ფონდის მიმდინარე საქმიანობის, კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- დამდგარი რისკებისგან მიღებული ზიანის მინიმიზაცია;
- მიმდინარე პროექტების ლოჯისტიკური საჭიროებების გამოვლენა და შესყიდვების დაგეგმვა;
- ფონდის საქმიანობისთვის საჭირო პროდუქტების თუ მომსახურების დროული მიწოდება შესაბამისი სამსახურებისთვის;
- შესაძლო ლოჯისტიკური შეფერხებების დროული გამოვლენა და პრევენციული ზომების მიღება.

ანალიტიკური მიმართულება - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2018 წლის 29 ოქტომბერს მიღებული წერილის #24/8683 საფუძველზე, ფონდში შეიქმნა ანალიტიკური მიმართულება, რომლის ძირითად ფუნქციებად განისაზღვრა:

- ენერგეტიკული ბაზრის ტრენდების შესწავლა;
- ინვესტორებთან მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღება;
- პროექტების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება;
- კომპანიის შიდა სტრუქტურის სრულყოფაში მონაწილეობის მიღება;
- კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო დაწესებულებებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინაცია;
- მიმდინარე პროექტების გაცნობა და კომპეტენციის ფარგლებში რეკომენდაციების მომზადება;
- სამომავლო პროექტების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება;

3. ინფორმაცია ფონდის შვილობილებისა და მიმდინარე პროექტების შესახებ

სს „ნამახვანი“

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ ფლობს სს ნამახვანის აქციების 100 %-ს.

ნამახვან ჰესების კასკადი - 2019 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავრობას და შპს „ქლინ ენერჯი გრუპ ჯორჯიას“ შორის ხელი მოეწერა ნამახვან ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულებას და ამასთან ერთად სს „ნამახვანის“ აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებას. აქტივების მიწოდების შემდეგ, საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი თავის შვილობილ კომპანია სს „ნამახვანთან“ ერთად ვალდებულია დაეხმაროს ინვესტორს განახლებული მშენებლობის ნებართვის მიღებაში. ხელშეკრულების მიხედვით ნასყიდობის ღირებულების ჩარიცხვა ხდება ინვესტორის მიერ განახლებული მშენებლობის ნებართვის მიღების შემდგომ. კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გავლა და განახლებული მშენებლობის ნებართვის მიღება დაგეგმილია 2020 წლის განმავლობაში.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ინფორმაცია ფონდის შვილობილებისა და მიმდინარე პროექტების შესახებ (გაგრძელება)

შპს „ბორჯომჰესი“

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ ფლობს შპს „ბორჯომჰესის“ 100% წილს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მინერალური წყლის პარკში მდებარე ჰიდროელექტროსადგური წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში, რომელიც აგებულია მდინარე ბორჯომულაზე. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის # 496 განკარგულებით სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ დავალებული აქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მინერალური წყლის პარკში მდებარე ჰიდროელექტროსადგურის, როგორც ინდუსტრიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, აღდგენა და დამატებით პლატოჰესის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების მომზადება. აღდგენილი ჰიდროელექტროსადგური შეასრულებს ორ ფუნქციას. პირველი, როგორც მუზეუმი და მეორე, როგორც თანამედროვე ჰიდროელექსადგური.

ბორჯომჰესის რეაბილიტაციის პროექტის ენერგეტიკული ნაწილი ღირებულება შეადგენს 12 მლნ აშშ დოლარს, ხოლო ისტორიული ჰესის შენობის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, რეაბილიტაციის ნაწილი 2 მლნ ლარს. მშენებლობის პერიოდი განისაზღვრა 2 წლით.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მემორანდუმის გადაცემის პროცედურა სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ და შპს „ბორჯომჰესს“ შორის. 2020 წლის 25 ივნისს გამოცხადდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მინერალური წყლის პარკში მდებარე ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა. წინადადებების მიღება მთავრდება 2020 წლის 16 ივლისს.

პროექტის ენერგეტიკული ნაწილის შესწავლა დასრულდება 2020 წლის მეოთხე კვარტალში და ამავე პერიოდში მიღებული იქნება გადაწყვეტიება ენერგეტიკული ნაწილის განვითარების შესახებ.

შპს „ენგურის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგური“

შპს „ენგურის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგური“ დაარსდა ენგურჰესის თაღოვან კაშხალთან მძლავრი ჰიდრომაკუმულირებელი სადგურის პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად. პროექტი იყოფა ორ ფაზად, პირველი ფაზის მიხედვით უნდა მოხდეს ტექნიკური-ეკონომიკური კვლევის მომზადება. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გადაწყდება მეორე - სამშენებლო ფაზაზე გადასვლის საკითხი. ამ ეტაპზე პირველი ფაზის ბიუჯეტად განისაზღვრა 1 500 000 აშშ დოლარი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ: შპს „ენგურჰესი“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ და ფონდი (40 - 40 - 20 პროცენტული წილებით). 2020 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან პირველი ფაზის შედეგების განხილვის შემდგომ გადაწყდება მეორე ფაზაზე გადასვლის საკითხი.

შპს „ჩორდულა ჰესი“

„ჩორდულა ჰესი“ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 2017 წლის 12 სექტემბერს, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდისა“ და შპს „რაჭაენერჯის“ მიერ. შპს „რაჭაენერჯის“ წილი შეადგენს 55%-ს, ხოლო სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“-ს წილი შეადგენს 45%-ს. შპს „ჩორდულა ჰესის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ფლობა, ოპერირება და მათთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება. ერთობლივი საწარმოს შექმნის მიზანია მდ. ჩორდულას ენერგეტიკული პოტენციალის ათვისება და შესაბამისი ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელება. პარტნიორთან შეთანხმებულია ფონდის წილის გამოსყიდვის მექანიზმი ჰესის ექსპლუატაციაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში.

2018 წლის 17 იანვარს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს მთავრობასთან, მემორანდუმის გაფორმებისთანავე კომპანიამ დაიწყო სამუშაოების შესრულება. ელექტროქსელზე მიერთების შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა 2019 წლის 10 ოქტომბერს, რის საფუძველზეც სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ გაცემულ იქნა შესაბამისი ტექნიკური პირობა.

ტექნიკური პირობის მიღების შემდეგ, ჩორდულა ჰესის პროექტის განხორციელების მიზნით, შპს „ჩორდულა ჰესმა“ დაასრულა მოლაპარაკებები EPC კონტრაქტორთან – შპს „ჰიდროენერჯისთან“ და 2019 წლის 25 ოქტომბერს გააფორმა შესაბამისი EPC კონტრაქტი, რომლის საფუძველზეც მხარეები გამოთქვამენ სრულ მზადყოფნას განხორციელონ შემდგომი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ინფორმაცია ფონდის შვილობილებისა და მიმდინარე პროექტების შესახებ (გაგრძელება)

ამ ეტაპზე კომპანია ასრულებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაფორმებული სამშენებლო მემორანდუმის ფარგლებში განსაზღვრულ სამუშაოებს. კომპანიამ 23/03/2020 მოიპოვა სადაწნეო მილსადენის მშენებლობის ნებართვა.

შპს „ყვირილა ჰესი“

2016 წლის 28 იანვარს გაფორმდა შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და შპს „ყვირილა ჰესს“ შორის, 2014 წლის 22 სექტემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე, რის შედეგადაც შეიცვალა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადების ვადები (ამ კომპანიაში „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ ფლობს 20% წილს). სოციალური პრობლემატიკის გადასაჭრელად მიმდინარეობს მოლაპარაკებები მოსახლეობასთან, რის შემდეგაც განახლდება პროექტი.

შპს ქართლის ქარის ელექტროსადგური

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ (50.1%) და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ (49.9%) წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კომპანიაა, რომელმაც 2016 წელს განახორციელა საქართველოში, გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ქარის პირველის ელექტროსადგურის პროექტი, რომლის დადგმული სიმძლავრე 20.7 მგვტ-ია ხოლო წლიური საპროგნოზო გამომუშავებული ენერგია 84,100,000 მლნ კვტ/სთ უტოლდება. პროექტის ღირებულების 70%-ის დაფინანსება განახორციელა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა, ხოლო დანარჩენი 30%-ის მობილიზება უზრუნველყვეს კომპანიის პარტნიორებმა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 13.11.2018 წერილის შესაბამისად ფონდმა განახორციელა შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ 100% წილის საბაზრო ღირებულების შეფასება. აუქციონის გზით განხორციელდა კომპანიის გასხვისება -14,400,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარად (ფონდის წილი - 7,214,400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი).

ნიგოზა და ცენტრალური ქარის ელექტროსადგურები

Callk Enerji Sanayi ve Ticaret A.S. და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ ერთობლივი საწარმო სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“ დაარსდა 2015 წლის 23 ივლისს. კომპანიამ უკვე შეასრულა კვლევითი მემორანდუმით გათვალისწინებული პირობები.

ცენტრალური ქარის ელექტროსადგური - პროექტის სტატუსი: ტექნიკურ-ეკონომიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული პროექტის განხორციელება არარენტაბელურია, მიღებული პარამეტრები არსებული სატარიფო პირობებით ვერ აკმაყოფილებს კომპანიის ფინანსურ მოლოდინებს სამომავლო გეგმები: ტექნოლოგიისა და ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესების, ქსელთან დაერთებისა და გარანტირებული შესყიდვის ტარიფის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში განიხილება პროექტის სამომავლო განვითარება.

ნიგოზა პროექტის სტატუსი: 2019 წელს მთავრობის მხრიდან მოხდა საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში მომზადებული კონცეფციის ბარათის მოწონება. კონცეფციის ბარათის ფარგლებში მოწონებული იქნა ელექტროენერგიის გარანტირებულად შესყიდვის ფასიც. 2020 წელს დაგეგმილია ინვესტორის მიერ კვლევების დასრულება: ქსელთან მიერთება და გარემოზე ზემოქმედების შეფასება. აღნიშნული კვლევების დასრულების შემდეგ, მოხდება მემორანდუმის გაფორმება და სამშენებლო ეტაპზე გადასვლა. ამ ეტაპზე ინვესტორი არ აპირებს საკუთარი ოფციის გამოყენებას.

შპს ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ ფლობს შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგურის“ 10% წილს. 2017 წლის 18 იანვარს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ გამოცხადდა ტენდერი ინვესტორის შერჩევაზე იმერეთის რეგიონში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 150 მეგავატამდე სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის პროექტის განვითარებაზე. წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე გამარჯვებულ კომპანიად გამოცხადდა შპს „ჯეოკრაფტი“. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქარის მონაცემების შეგროვება და დამუშავება. ინვესტორი კომპანია წინარე სამშენებლო სამუშაოებს დაიწყებს 2021 წელს, BOO/ PPA ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ინფორმაცია ფონდის შეილობილებისა და მიმდინარე პროექტების შესახებ (გაგრძელება)

შპს ენგურის ტურისტული ცენტრი

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N476 განკარგულების საფუძველზე სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ დაევალა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მდებარე ენგურის კაშხლის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა საკუთარი სახსრებით. ფონდმა უზრუნველყო შპს „ენგურის ტურისტული ცენტრის“ 100% - იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნება ზემოაღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით. გარდა აღნიშნული კომპანიისა, პროექტში ჩართულები არიან, როგორც სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, ასევე შპს „ენგურჰესი“.

ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის მიზანია, ენგურის კაშხალზე მსოფლიო კლასის სანახაობის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იფუნქციონირებს როგორც შემეცნებით, გასართობ და კულტურულ ცენტრად, რაც ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს საგრძნობლად გაზრდის.

საპროექტო სამუშაოების შესრულებულია ესტონური კომპანია „კოკო არქიტექტორების“ მიერ.

2018 წელს დაინიშნა შპს „კოკო არქიტექტორების“ მიერ განხორციელებული პროექტების ექსპერტიზა შემდგომში სამშენებლო ნებართვის მიღების მიზნით.

2019 წლის მაისში Colliers International-მა დაასრულა პროექტის სოციალურ-ეკონომიკური კვლევა. შედეგები წარდგენილია სამინისტროში და ტურიზმის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად მიმდინარეობს მსჯელობა პროექტის დაფინანსების მოძიების თაობაზე.

2020 წლის 10 მარტს ფონდმა გამოაცხადა ინვესტორთა შერჩევის პროცესი ენგურის კაშხალთან მიმდებარე ტერიტორიაზე ზიპლაინის მოწყობის მიზნით. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 1,220,629 ლარი. მიმდინარე მდგომარეობით ინვესტორი შერჩეული ვერ იქნა. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით გადაწყდება პროექტის განვითარების შემდეგი ეტაპი.

შპს საქართველოს მზის კომპანია

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ ფლობს შპს საქართველოს მზის კომპანიის 10% წილს. სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი შპს „საქართველოს მზის კომპანიის“ მეშვეობით ახორციელებს საქართველოში მზის ენერგიის პირველ ელექტროსადგურს პროექტს, რომელიც მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, კახეთის რეგიონში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ უდაბნოში.

უდაბნოს მზის ელექტროსადგურის სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა მომზადდა ბრიტანული კომპანია SgurrEnergy Ltd- მიერ, რომელსაც გააჩნია დიდი გამოცდილება მზის ელექტროსადგურის პროექტებში.

2018 წლის 23 მაისს ფონდის მიერ ინვესტორის შერჩევისა და უდაბნოს მზის ელექტროსადგურის პროექტის ერთობლივად განვითარების მიზნით გამოცხადდა ტენდერი. ჩატარებული ინტერესთა გამოხატვის შედეგად გამარჯვებულ კომპანიასთან შპს „სოლარ ფავერ ჯორჯია“-სა და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ შორის 2018 წლის 31 ივლისს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც შპს „სოლარ ფავერ ჯორჯიას“ გადაეცა შპს „საქართველოს მზის კომპანიის“ 90%-იანი წილი. ინვესტორმა აიღო ვალდებულება უზრუნველყოს საქართველოს მთავრობასთან „უდაბნოს მზის ელექტროსადგურის“ მშენებლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება და მშენებლობის ნებართვის აღება.

ინვესტორის მიერ აღებული ვალდებულების შეუსრულების გამო, ფონდმა გამოიყენა საპარტნიორო შთანხმებით არსებული ზერკეტები. შედეგად მიმდინარეობს ფონდის მიერ შპს „საქართველოს მზის კომპანიაში“ 90%-იანი წილის დაბრუნების პროცესი. ამასთან ერთად ფონდის მიერ გამოთხოვილი იქნა ინვესტორის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია 100,000 ლარის ოდენობით. პროექტის განვითარების სამომავლო ხედვის შეთანხმება მოხდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ინფორმაცია ფონდის შეიღობილებისა და მიმდინარე პროექტების შესახებ (გაგრძელება)

შპს „რუისის ქარის ელექტროსადგური“

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ ფლობს შპს რუისის ქარის ელექტროსადგურის 10% წილს. 2019 წლის 10 ივლისს, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდსა“ და შპს „ჩერო კონსალტინგს“ შორის გაფორმდა საპარტნიორო შეთანხმება, რომლის მიხედვით, პარტნიორებმა უზრუნველყვეს ერთობლივი საწარმოს დაფუძნება, საპროექტო ტერიტორიაზე 12.6 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის პროექტის განვითარების მიზნით.

ამ ეტაპზე დასრულებულია საპროექტო არეალის წინარე ტექნიკურ - ეკონომიკური კვლევა, რომლის საფუძველზეც, შპს „რუისის ქარის ელექტროსადგური“ 2019 წლის 18 დეკემბერს საინიციატივო შეთავაზებით მიმართავ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, შემდგომში „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კონცეფციის ბარათის მომზადების მიზნით.

პროექტი: საგარეჯოს მზის ელექტროსადგური 25 მგვტ.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა“ მოამზადა მზის ელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა. აღნიშნული კვლევით მზის ელექტროსადგურის აშენება იგეგმება კახეთში, საგარეჯოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

ფონდმა დაამუშავა პროექტისთვის საჭირო კვლევები: ტოპოგრაფია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ, არქეოლოგიური ანგარიში, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი, ხარისხის ფასთან თანაფარდობის ანალიზი და საგარეჯოს მზის PV ელექტროსადგურის სკრინინგის ანგარიში.

2020 წელს განხორციელდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 25 მგვტ. დადგმული სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევის შეფასებისა და აღნიშნული კვლევის ღირებულებით ფონდის კაპიტალის შემცირების შესახებ მომსახურებების შესყიდვა. აღნიშნული მომსახურებების შესყიდვის შემდგომ პროექტი სრულად გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

პროექტი: ხევსურეთის სოფლების ელექტროენერგიით მომარაგების პროექტი

დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დავალებით, დაიგეგმა და ხორციელდება ხევსურეთის სოფლების ელექტროენერგიით მომარაგების პროექტები. შატილის, ახიელის, რომკასა და არდოტის მიკროჰესების რეაბილიტაციისათვის ან/და ელექტროენერგიის მიწოდების ალტერნატიული შესაძლებლობების შესწავლისა და პროექტირებისათვის მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები. დასახული პრიორიტეტების მიხედვით, 2019 წელს დაიწყო შატილისა და ახიელის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ახიელის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა 2019 წელს, ხოლო შატილის ჰიდროელექტროსადგურის 2020 წელს.

2020 წელს განხორციელდება რომკა, ჭიშკა, ამა და ახიელის ელექტროგადამცემი ხაზის რეაბილიტაცია და ასევე ამავე პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ომალოს ჰესის ტექნიკურ ეკონომიკური კვლევა.

პროექტი: ტორხილა ჰესი

2017 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ („ესკო“) შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმით „ესკოსა“ და ფონდს შორის გაფორმებულია 10 წლიანი ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება „ტორხილა ჰესის“ პროექტისათვის. პროექტს ასევე გააჩნია სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ მიერ გაცემული ტექნიკური პირობა ქსელთან მიერთების თაობაზე.

თუმცა ვინაიდან დღეის მდგომარეობით დარღვეულია მემორანდუმის დანართი #2-ით გათვალისწინებული ანგარიშების მომზადებისა და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენის ვადები, მნიშვნელოვანია ინტერესთა გამოხატვის გამოცხადებამდე განხორციელდეს მემორანდუმის დანართი #2-ით გათვალისწინებული ვადების გახანგრძლივება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ფონდმა 2019 წლის 24 იანვარს #4 წერილით ერთხელ უკვე მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომლითაც ითხოვა მემორანდუმის დანართი #2-ით გათვალისწინებული ვადების გახანგრძლივება და შესაბამისი შეთანხმების გაფორმების მიზნით, საქართველოს მთავრობასთან შუამდგომლობა.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ინფორმაცია ფონდის შვილობილებისა და მიმდინარე პროექტების შესახებ (გაგრძელება)

პროექტი: ქართლი 2

სს “საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა” 2016 წლის 31 მაისს საქართველოს მთავრობასთან გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი 100 მგვტ. დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის პროექტის განვითარების მიზნით. ფონდის მიერ შესრულდა მემორანდუმით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება, მომზადებულია სრულყოფილი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. მიმდინარე მდგომარეობა: პროექტის განახლებული 20 მგვტ. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა მომზადდა MONSSON OPERATION და RIDGELINE INDUSTRIES მიერ რუმინეთის განვითარების სააგენტოს საგრანტო პროგრამით. სამომავლო გეგმა: გადამცემი ქსელის შესაძლებლობიდან გამომდინარე, მოხდება პროექტის რამოდენიმე ფაზად დაყოფა და პოტენციური ინვესტორებისთვის შეთავაზება. ასევე განიხილება პროექტის გადაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის, შემდგომში საჯარო და კერძო თანამშრომლობის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით ინვესტორის შერჩევის მიზნით. ამ ეტაპზე ფონდის არსებული სახსრებით დაგეგმილია გეოლოგიური, ტოპოგრაფიული, ლოჯისტიკური კვლევების და გზა ანგარიშების მომზადება. და საჭიროების შემთხვევაში ქარის პარამეტრების გადამოწმება LiDar-ების მეშვეობით.

შუახვედრზე მომხდარი ავარიის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი დროებითი კომისია

სამინისტროს 23.05.2019 წერილის საფუძველზე შეიქმნა შუახვედრზე მომხდარი ავარიის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი დროებითი კომისია, რომელშიც ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები. გათვალისწინებულია კომისიის მუშაობისთვის საჭირო ღონისძიებების მხარდაჭერა და ყველა აუცილებელი მოქმედება კომისიის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით.

პროექტი: ბიომასა

პროექტის ფარგლებში იგეგმება ბიომასაზე მომუშავე თბოსადგურის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლა. ასევე განიხილება ბიომასის როგორც ენერგეტიკულ საწვავად გამოყენება. პროექტი ითვალისწინებს ალვის ხეების მოყვანას დასავლეთ საქართველოში, და მის რეალიზაციას როგორც საქართველოში ისე საექსპორტო ბაზრებზე.

გამოყოფილია ორი ძირითადი მიმართულება: 1) ენერგეტიკული პოტენციალის მქონე სანერგე მეურნეობები და პლანტაციები, 2) ბიომასაზე მომუშავე ელექტროსადგურები. 2019 წელს, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია ნირასის დახმარებით მომზადდა ენერგეტიკული პოტენციალის მქონე ალვის ხეების პროექტის შეფასება.

4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

ჯგუფის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობა რელევანტურად მიიჩნევს საქმიანობის შედეგების შემდეგი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების განხილვას.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კოეფიციენტის დასახელება ინგლისურად	კოეფიციენტის დასახელება ქართულად	31.12.2019	31.12.2018	სხვაობა %
EBITDA	მოგება პროცენტის, გადასახადების და ცვეთის გამოქვითვამდე	23,085,074	7,524,151	207%
EBIT	მოგება პროცენტის და გადასახადის გამოქვითვამდე	19,481,925	4,055,492	380%
Profit margin	მოგების მარჟა	60%	57%	3%
ROA	უკუგება საშუალო აქტივებზე	18%	3%	15%
ROE	უკუგება საშუალო კაპიტალზე	24%	5%	19%
Total debt ratio	ვალის კოეფიციენტი	0%	39%	-39%
Revenue	შემოსავლები	16,462,898	14,744,278	12%
Net Income	წმინდა მოგება	18,947,487	3,659,102	418%

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრება:

უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA): 2019-2018 წლების წმინდა მოგება შეფარდებული 2019-2018 და 2018-2017 წლების მთლიანი აქტივების საშუალო მაჩვენებელზე. 2019 წლის უკუგების კოეფიციენტი საშუალო აქტივებზე გაზრდილია 2018 წლის ამავე მონაცემთან შედარებით 3%-იდან 18%-მდე, რაც ძირითადად გამოწვეულია შპს ქართლის ქარის ელექტროსადგურის 50.1%-იანი წილის გაყიდვიდან მიღებული მოგებით.

უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE): 2019 და 2018 წლის წმინდა მოგება შეფარდებული კაპიტალის 2019-2018 წლების და 2018-2017 წლების საშუალო მაჩვენებელზე. აღნიშნული მაჩვენებელი 2019 წელს გაზრდილია 2018 წლის მონაცემთან შედარებით 5%-იდან 24%-მდე, რაც ძირითადად გამოწვეულია შპს ქართლის ქარის ელექტროსადგურის 50.1%-იანი წილის გაყიდვიდან მიღებული მოგებით.

ვალის კოეფიციენტი (Total debt ratio): 2019 და 2018 წლებში არსებული სასესხო ვალდებულებების შეფარდება აქტივებთან. აღნიშნული კოეფიციენტი 2019 წელს ნულს გაუტოლდა, რადგან სრულად გაიყიდა შპს ქართლის ქარის ელექტროსადგურში სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის წილი და ჯგუფის სხვა კომპანიებს სესხები არ გააჩნიათ.

მოგების მარჟა (Profit margin): 2019 და 2018 წლებში თვითღირებულების შეფარდება შემოსავალთან. აღნიშნული მონაცემი დათვლილია შპს ქართლის ქარის ელექტროსადგურის შემოსავლის და თვითღირებულების მონაცემების მიხედვით, რადგან ჯგუფის სხვა კომპანიებისთვის ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვანი არ არის.

მოგება პროცენტის, გადასახადების და ცვეთის გამოქვითვამდე (EBITDA), მოგება პროცენტის და გადასახადის გამოქვითვამდე (EBIT) და წმინდა მოგების (Net Income) მაჩვენებლები 2019 წელს მნიშვნელოვნად გაზრდილია 2018 წელთან შედარებით, რადგან ჯგუფმა მიიღო მოგება შპს ქართლის ქარის ელექტროსადგურში სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის 50.1%-იანი წილის და ნამახვანის ჰესების კასკადის აქტივების გაყიდვის შედეგად.

შემოსავლები (Revenue) მაჩვენებელში მითითებულია შპს ქართლის ქარის ელექტროსადგურის შემოსავალი, რადგან ჯგუფის სხვა კომპანიებს არ აქვთ მიღებული შემოსავალი. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია

2019 წლის მონაცემებით ჯგუფში მუდმივ დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად :

- სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი - 46 კაცი
- სს ნამახვანი - 6 კაცი
- შპს ენგურის ტურისტული ცენტრი - 5 კაცი
- შპს ბორჯომჰესი - 4 კაცი

სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდში დასაქმებული მუდმივი თანამშრომლები ფონდის საქმიანობასთან ერთად ახორციელებენ სხვა შვილობილებში პროექტებთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულებას.

5. განვითარების გეგმები

ფონდი 2020 წლისთვის პრიორიტეტულ სტრატეგიულ ამოცანებად განიხილავს:

- ხარისხიანი პროექტების დამუშავებას,** რომელიც გულისხმობს პროექტის საინვესტიციო და საინჟინრო-ტექნიკური ნაწილის ხარისხიანი დამუშავების უზრუნველყოფას, პროექტის რენტაბელობის, მიზანშეწონილობისა და გარემოსთან თავსებადობის ანალიზსა და პროექტის მარკეტინგული კომპონენტის დამუშავებას.
- პროექტების განხორციელების უზრუნველყოფას,** რაც გულისხმობს პროექტების განხორციელებისთვის საჭირო, სწორი ტექნიკური ამოცანების დასმას; გრძელვადიანი ურთიერთობის განვითარებას პროვაიდერებთან და მათი მუშაობის მაღალი ხარისხის

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

5. განვითარების გეგმები (გაგრძელება)

უზრუნველყოფას; პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ქმედებების დროულ და ეფექტიან შესრულებას.

- III. პროექტის განვითარების შესაძლებლობის გამოვლენას, რაც მოიცავს ბუნებრივი რესურსების პოტენციალის, როგორც კაბინეტურ, ისე საველე კვლევებს, ანალიზს და შეფასებას; ასევე გარე პირებისგან შემოსული წინადადებიდან რენტაბელური და კომერციული ალტერნატივების შერჩევას.

მოცემული ამოცანების შესასრულებლად და შემდგომი განვითარებისთვის, საინვესტიციო და პროექტების ნაწილში, თითოეული პროექტის დასახული გეგმების გარდა, ჯგუფი აქტიურად განიხილავს ახალ პროექტებს და ზოგიერთ მათგანს უკვე ასრულებს.

2020 წლის ახალი პროექტები:

აჭარის სკოლების მზის პანელების პროექტი

ლიტვურმა კომპანია შპს „ViaSolis“-მა, 28.10.2019-ის წერილის საფუძველზე, სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს შესთავაზა საგრანტო კონკურსში მონაწილეობა, პროექტის ჯამური ღირებულების 20%-ის ფარგლებში, რაც შეადგენს 100,533 ევროს (კურსი 3,4173). ბიუჯეტში წარმოდგენილი თანხა არ მოიცავს დღგ-ს. პროექტი დამტკიცდა საქართველოს მთავრობის **2020 წლის 6** მაისის განკარგულებით.

პროექტის მიმოხილვა: ლიეტუვის გარემოს დაცვის სამინისტროს განვითარების, თანამშრომლობისა და ჰუმანიტარული დახმარების კომისიის გადაწყვეტილებით, შპს „Via Solis“-მა მოიპოვა გრანტის სახით 377,000.19 ევროს (დღგ-ს გარეშე) ოდენობის დაფინანსება, „ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ბათუმის საჯარო სკოლებში ფოტოვოლტური ენერგიის გადაწყვეტილების დანერგვის“ პროექტის (შემდგომში „პროექტი“) განხორციელების მიზნით.

პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 502,667 ევროს (დღგ-ს გარეშე) და ითვალისწინებს აჭარაში, ქალაქ ბათუმში 13 საჯარო სკოლისათვის მზის ელექტროსადგურების მონტაჟს. პროექტის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ქ. ბათუმის: N1, N6, N8, N9, N10, N13, N14, N16, N17, N22, N23, N28, N30 საჯარო სკოლები.

პროექტი სრულად შეესაბამება გაეროს დღის წესრიგის მე-13 მიზანს, რაც ითვალისწინებს კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარებას. ამასთანავე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი ვალდებულებაა კლიმატის ცვლილების შერბილება, რაც გულისხმობს მდგრადი განახლებადი წყაროებიდან ენერგიის მოპოვებას, ენერგოეფექტური პროდუქტებისა და მომსახურების მხარდაჭერას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სკოლების პერსონალს, მოსწავლეებსა და ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება მიეცემათ მეტად შეიცნონ განახლებადი ენერგიის რესურსების სპეციფიკა და პროექტის ფარგლებში შეაფასონ მისი დადებითი პირდაპირი ეფექტები. პროექტის განხორციელების შემდგომ, სკოლებს ფინანსური თვალსაზრისითაც, მაქსიმალურად და მნიშვნელოვნად შეუმცირდებათ ელექტროენერგიის გადასახადი.

კარბონ კრედიტების პროექტი - დაგეგმილია კარბონ კრედიტებით ბლოქჩეინ პლატფორმაზე ვაჭრობის მექანიზმის შესწავლა, რისთვისაც კომპანია თანამშრომლობს **Global Carbon Holding Ltd-** სთან.

ბიომასის პროექტის განვითარება - ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტის განმახორციელებელ ინვესტორთან მოლაპარაკებები. მოლაპარაკებების დადებითად წარმართვის შემთხვევაში შესაძლოა ფონდი ჩაერთოს პროექტის განხორციელებაში. (იგულისხმება საერთო საწარმოს დაფუძნება, ფონდის შენატანად მოიაზრება საჭირო მიწის ნაკვეთების შეტანა საერთო საწარმოს კაპიტალში).

ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩინურ კომპანია China Energy Engineering Group Co., Ltd-თან ბიომასაზე მომუშავე სადგური ტექნიკურ ეკონომიკური კვლევის მომზადების თაობაზე. დაგეგმილია საერთო საწარმოს დაფუძნება და კაპიტალის შევსება კვლევისთვის საჭირო თანხებით. იმ შემთხვევაში თუ კვლევის შედეგების მიხედვით მიზანშეწონილი იქნება პროექტის განხორციელება, ფონდი გამოთქვამს სურვილს ჩაერთოს პროექტის განხორციელების ეტაპში.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. განვითარების გეგმები (გაგრძელება)

COVID 19-ის გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე

როგორც მოგეხსენებათ სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს განახლებადი ენერგიის წყაროების პერსპექტიული პროექტების მოძიება და მათი განვითარების ხელშეწყობა. ფონდი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებთან ერთობლივი საწარმოების დაფუძნებისა და ასევე სხვადასხვა სერვისების მიღების კუთხით. ჩვენი აზრით, **COVID 19-ით** გამოწვეული შეზღუდვები, უახლოეს პროგნოზირებად მომავალში საფრთხეს არ შეუქმნის კომპანიის ფუნქციონირებას. COVID 19-ს ძირითადი გავლენა შესაძლოა იყოს მხოლოდ მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განვითარების ვადებზე.

6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდში სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდსა და მის შვილობილ კომპანიებში არ მომხდარა წილის, ან აქციების გამოსყიდვა.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფისთვის არსებული რისკებია:

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე.

საბაზრო რისკი - საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლილებები საბაზრო ფასებში, როგორცაა უცხოური ვალუტის კურსი, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ფასები, გავლენას მოახდენს ფონდის შემოსავალზე ან მის საკუთრებაში არსებულ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია ბაზარზე არსებული რისკის ჯგუფზე ზემოქმედების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, შემოსავლის ოპტიმიზაციასთან ერთად.

ზემოაღნიშნული რისკების შესახებ და ზოგადად, ფონდის რისკის მართვის მექანიზმების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ ფონდის 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (შენიშვნა N4), რომელიც დამტკიცდა 2020 წლის 6 ივლისს.

ჯგუფის ძირითადი რისკების მართვა:

ჯგუფი იყენებს მონიტორინგის გამართულ სისტემას, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება მაკრო და მიკრო მოვლენებზე. მონიტორინგის სისტემა ასევე საშუალებას იძლევა მოხდეს საინვესტიციო პორტფელში სისუსტეების იდენტიფიკაცია, რის შემდეგაც ხდება კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება იმისათვის, რომ მოხდეს იდენტიფიცირებული რისკების სწორი ადრესაცია და რისკის მართვის კუთხით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება. მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ პროექტებზე და მოიცავს ინდივიდუალური ინვესტორის მონიტორინგს, პორტფელურ მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. ამასთან ჯგუფი იყენებს პორტფელის ზედამხედველობის სისტემას შესუსტებული ინვესტიციის იდენტიფიცირების და საჭიროების შემთხვევაში გამოსასწორებელი ზომების მიღების მიზნით.

რეფორმები ენერგო სექტორში:

- ენერგეტიკის სფეროში განხორციელებული და განსახორციელებელი რეფორმები მიზნად ისახავს ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას და ენერგოსისტემის საიმედოობის განმტკიცებას;
- ენერგეტიკის სექტორის რეფორმა გულისხმობს ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის ახალი,

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კონკურენტული ბაზრის მოდელის დანერგვას. კონკურენტული ბაზრის შექმნა კი თავის მხრივ გულისხმობს „დღით ადრე“ და „საბალანსო ბაზრებს“. ელექტროენერგეტიკული ბაზრის მიზანს წარმოადგენს:

- ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების და ენერგოსისტემის საიმედოობის ამაღლება
- კონკურენციის ხელშეწყობით და ლიკვიდურობის ზრდით მომხმარებლისთვის უწყვეტი, მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომი ფასის ენერგიის მიწოდება
- მკაცრი ბაზრის მონიტორინგით და რეგულირებით (მონოპოლის სექტორში) მომხმარებლის ინტერესების დაცვა
- ინვესტიციების ხელშეწყობა გენერაციაში, განაწილებაში, ინოვაციურ და ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში
- ურთიერთ მომგებიანი ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობის ხელშეწყობა
- საჯარო მიმწოდებლის და საჯარო მომსახურების ვალდებულების დანერგვა
- ქვეყნის ევროინტეგრაციის ხელშეწყობა და ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრობით აღებული ვალდებულებების დაკმაყოფილება და ენერგეტიკული გაერთიანების მოდელთან სრული თანხვედრა
- განაწილების საქმიანობის განაწილება (განმხოლოება) გენერაცია/მიწოდებისგან
- მოწყვლადი მომხმარებლებისათვის სოციალური დაცვის მექანიზმების დანერგვა და სხვა.

ამ მიზნებისთვის 2019 განმავლობაში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

მიღებული იქნა:

- ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონი,
- განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ კანონი;
- ჩამოყალიბდა ენერგეტიკული ბირჟა
- მოხდა სიმულაციების და რისკების შეფასება
- ასევე ბაზრის გახსნის I ეტაპი (მსხვილი მომხმარებლების გაყვანა).

2020 წლის 16 აპრილს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება: **ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ**, სადაც გაწერილია დეტალური სამოქმედო გეგმა.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

_____ გიორგი ჩიქოვანი

ფინანსური დირექტორი

_____ გიორგი ჩაჩიბაია

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი ჯგუფი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კონკურენტული ბაზრის მოდელის დანერგვას. კონკურენტული ბაზრის შექმნა კი თავის მხრივ გულისხმობს „დღით ადრე“ და „საბალანსო ბაზრებს“. ელექტროენერგეტიკული ბაზრის მიზანს წარმოადგენს:

- ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების და ენერგოსისტემის საიმედოობის ამაღლება
- კონკურენციის ხელშეწყობით და ლიკვიდურობის ზრდით მომხმარებლისთვის უწყვეტი, მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომი ფასის ენერგიის მიწოდება
- მკაცრი ბაზრის მონიტორინგით და რეგულირებით (მონოპოლის სექტორში) მომხმარებლის ინტერესების დაცვა
- ინვესტიციების ხელშეწყობა გენერაციაში, განაწილებაში, ინოვაციურ და ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში
- ურთიერთ მომგებიანი ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობის ხელშეწყობა
- საჯარო მიმწოდებლის და საჯარო მომსახურების ვალდებულების დანერგვა
- ქვეყნის ევროინტეგრაციის ხელშეწყობა და ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრობით აღებული ვალდებულებების დაკმაყოფილება და ენერგეტიკული გაერთიანების მოდელთან სრული თანხვედრა
- განაწილების საქმიანობის განაწილება (განმხოლოება) გენერაცია/მიწოდებისგან
- მოწყვლადი მომხმარებლებისათვის სოციალური დაცვის მექანიზმების დანერგვა და სხვა.

ამ მიზნებისთვის 2019 განმავლობაში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:


მიღებული იქნა:

- ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონი,
- განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ კანონი;
- ჩამოყალიბდა ენერგეტიკული ბირჟა
- მოხდა სიმულაციების და რისკების შეფასება
- ასევე ბაზრის გახსნის I ეტაპი (მსხვილი მომხმარებლების გაყვანა).

2020 წლის 16 აპრილს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება: ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ, სადაც გაწერილია დეტალური სამოქმედო გეგმა.


2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 6 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი ჩიქოვანი

ფინანსური დირექტორი



გიორგი ჩაჩიბაია